

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვლადიმერ კვარაცხელიას ანგარიში 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ვლადიმერ კვარაცხელია

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარე.

ფრაქციის დასახელება—„ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

კომისი(ებ)ის დასახელება - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარი, წალენჯიხის N68.15 ნაკიფუს საარჩევნო უბანი.

საანგარიშო პერიოდი- 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა- 22  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_17  
კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 16

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 8  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -8

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018–2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

გ)მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018–2022წწ.)განხილვის შესახებ.

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;

ე)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ვ)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

თ)„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“

- ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- კ) წალენჯიხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ;
- ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;
- მ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე;
- ნ) „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;
- პ) პეტიციები სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა- 10

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 300

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სოციალური პრობლემები,

მუნიციპალიტეტში მოქმედ ჯანდაცვის პროგრამებში მოსახლეობის უფრო მეტი სპექტრის ჩართვა, დახმარების გაწევა სტიქიის შედეგად მიმოსახლეობაზე მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, შიდა საუბნო გზების მოხრეშვითი სამუშაოების განხორციელება, წყალმომარაგების სისტემის აღდგენა-რეაბილიტაცია.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოწყო ულურიის უბანში მდ.სქურჩაზე და კვარჩხალზე ნაპირსამაგრი და ზედა საჭანო-ულურიის აღმართზე რკინა-ბეტონის საფარი და ცხაური. განხორციელდა ულურიის უბანში სამანქანე ხიდბოგირის რეაბილიტაცია. მოხდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასახური მასალების მიწოდება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

აქტიურად ვმონაწილეობ კომისიის მუშაობაში, კომისიის სხდომებზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებაში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“-ს თავმჯდომარე. ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილ იქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულ იქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

შეესებისთარიღი-31.10.2018 წ.

წარდგენისთარიღი \_31.10.2018 წ.

ხელისმოწერა

